



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №21

2019 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში და სოფელ ახალშენი-განახლება-ქვედა სამების ცენტრალურ გზაზე მდებარე გარე განათების ბოძების შ.პ.ს. „სილქნეტი“-სათვის პირდაპირი გზით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს სოფელ სარფში და სოფელ ახალშენი-განახლება-ქვედა სამების ცენტრალურ გზაზე მდებარე გარე განათების ბოძების სარგებლობის უფლებით გადაცემა შ.პ.ს. „სილქნეტი“-ზე, მასზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით.
2. დადგინდეს სოფელ სარფში და სოფელ ახალშენი-განახლება-ქვედა სამების ცენტრალურ გზაზე მდებარე გარე განათების ერთი ბოძის სარგებლობის უფლების წლიური საიჯარო თანხა ორი ლარის ოდენობით;
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე